სამაგისტრო პროგრამის დასახელება: ქართული ლიტერატურა

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ფილოლოგიის მაგისტრი / MA in Philology

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძე

პროგრამის ანალოგები: პროგრამას ანალოგი არ აქვს

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

ა) მიზნები: სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია სტუდენტებისათვის, რომლებსაც მიღებული აქვთ საწყისი საბაკალავრო განათლება ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე და სურთ გააღრმავონ თავიანთი ცოდნა ქართულ ლიტერატურასა და ზეპირსიტყვიერებაში. პროგრამის მიზანია ამ პროფილის ფილოლოგების მომზადება. ქართული ლიტერატურის კომბინირებული სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს:

- მოამზადოს მაგისტრები ქართული ლიტერატურის ისტორიის, ლიტერატურული კრიტიკისა და ზეპირსიტყვიერების სფეროებში სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური და პრაქტიკული საქმიანობისათვის;
- გამოუმუშაოს მაგისტრანტებს მხატვრული ლიტერატურული ტექსტის პროფესიული კითხვისა და თეორიული კვლევის კულტურა;
- გააღრმაოს მაგისტრანტების ცოდნა ტექსტის სტრუქტურულ, სტილისტურ, ტიპოლოგიურ და კომპოზიციურ სტრუქტურებთან მიმართებაში;
- საფუძვლიანად გაარკვიოს მაგისტრანტები კვლევის განსხვავებული მეთოდოლოგიური სისტემების სტრუქტურაში და გამოუმუშაოს ანალიზის განსხვავებული ხერხებით ოპერირების პროფესიული უნარი;
- განუვითაროს მაგისტრანტებს ანალიტიკური აზროვნებისა და პროფესიული წერის (კრიტიკული სტატია, პუბლიცისტური გამოკვლევა, ესსე) შესაძლებლობები, დაუხვეწოს ანალიზის, ინტერპრეტაციისა და დამუკიდებელი კვლევის წარმოების უნარ-ჩვევები;
- მიმართოს მაგისტრანტების ინტერესი ინტერდისციპლინარული და ინტერკულტურული კვლევებისადმი;
- სამაგისტრო პროგრამაში შემავალი ცალკეული მოდულების შესაბამისად, გაუღრმაოს ქართული ლიტერატურის ისტორიის, ლიტერატურული კრიტიკისა და ქართული ზეპირსიტყვიერების კონკრეტული საკითხების კვალიფიციური ცოდნა.

ბ) შედეგები

- სამაგისტრო პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული ცოდნა, კვალიფიკაცია, კომპეტენცია და მეცნიერული კვლევის უნარი კურსდამთავრებულს მისცემს შესაძლებლობას, შექმნას მაღალი მეცნიერული ღირებულების მქონე თეორიული ნაშრომი ქართული ლიტერატურის ისტორიის, ლიტერატურული კრიტიკისა და ფოლკლორის მისთვის საინტერესო და აქტუალურ პრობლემაზე;
- მაგისტრი შეძლებს კვლევის ამოცანების ფორმულირებას, ახალი მეთოდების თეორიულად ათვისებასა და პრაქტიკულად გამოყენებას დამოუკიდებელი კვლევისას;
- მაგისტრი სრულყოფს თანამედროვე ლიტერატურული და თეორიული კვლევისათვის აუცილებელ ტერმინოლოგიურ აპარატს და შეძლებს ამ აპარატით ოპერირებას დამუკიდებელი კვლევის პროცესში;
- პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრი უნდა ფლობდეს ღრმა ცოდნას შემდეგ დისციპლინებში: ძველი, მე-19 საუკუნისა და თანამედროვე ქართული ლიტერატურის ისტორია; ქართული ზეპირსიტყვიერება.
- პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს უნდა შეეძლოს თეორიული, კვლევითი და პრაქტიკული შედეგების მაღალკვალიფიციური წერითი და ზეპირი პრეზენტაცია.

გ) დასაქმების სფეროები

აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს როგორც მკვლევარსა და ლექტორს მუშაობა შეეძლება:

- საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- ჰუმანიტარული პროფილის კვლევით ინსტიტუტებში;
- საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ნებისმიერ სხვა ბიბლიოთეკაში;
- საქართველოს ცენტრალურ არქივსა და სხვა არქივებში, ნებისმიერ მუზეუმში;
- საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ სასულიერო აკადემიასა თუ სემინარიაში;
- საგამომცემლო ორგანიზაციებში, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში;
- რადიოსა და ტელევიზიაში რედაქტორად და კონსულტანტად;
- არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში ექსპერტად;
- ტურისტულ ფირმებში ექსკურსიამძღოლებად და გიდებად.

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

- წინამდებარე სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარული მეცნიერების რომელიმე დარგში.
- პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.

მისაღები გამოცდების პირობები:

- მისაღები საგამოცდო სისტემა წერილობითი ფორმით ჩასატარებელ ერთიან გამოცდას გულისხმობს, რომელიც ჰუმანიტარული ფაკულტეტის ფილოლოგიის მიმართულებაზე განხორციელდება.
- მაგისტრანტს მოეთხოვება უცხო ენის ცოდნა B1 დონით.

რამდენი მაგისტრანტის მიღებაა შესაძლებელი:

მისაღები კონტიგენტის რაოდენობა შეადგენს 15 სტუდენტს.

სწავლის გაგრძელების საშუალება

ფილოლოგიის მაგისტრს საშუალება ექნება სწავლა განაგრძოს დოქტორანტურაში.

პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალი

სრული პროფესორები: ე. ხინთიბიძე, ი. რატიანი

ასოცირებული პროფესორები: მ. ელბაქიძე, ლ. ხაჩიძე, ნ. გონჯილაშვილი, ნ. სულავა, ი. ევგენიძე, ლ. მინაშვილი, თ. შარაბიძე, ს. ყუბანეიშვილი, თ. პაიჭაძე, კ. ლორია, რ. ნიშნიანიძე, თ. ქურდოვანიძე, ხ. მამისიმედიშვილი, ტ. მახაური

ასისტენტ-პროფესორები: დ. წოწკოლაური, ე. გოგიაშვილი.

მოწვეული პროფესორები: გრ. ფარულავა, ხ. ზარიძე, ზ. ხინთიბიძე, დ. მენაბდე, რ. სირაძე, ლ. გრიგოლაშვილი, ე. კალანდარიშვილი, ჯ. ჭუმბურიძე, ნ. მინდიაშვილი, მ. ძიგუა, თ. ბარბაქაძე, ნ. გონჯილაშვილი, ქ. ბეზარაშვილი.

კვლევითი კომპონენტი

"ქართული ლიტერატურის" სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტს შეუძლია სამაგისტრო ნაშრომის შერჩევა სხვადასხვა თემატიკაზე: ძველი ქართული ლიტერატურა, ახალი ქართული ლიტერატურა, თანამედროვე ქართული ლიტერატურა, ქართული ზეპირსიტყვიერება.

მაგისტრანტის სამაგისტრო თემაზე მუშაობა ინტენსიურად უნდა მიმდინარეობდეს III და IV სემესტრში. III სემესტრში სტუდენტის მიერ გამოტანილი უნდა იყოს ნაშრომის ერთი ნაწილი სამაგისტრო პრეზენტაციის სახით.

სამაგისტრო პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზა

სასწავლო-კვლევით ბაზად გამოყენებული იქნება: თსუ რუსთაველის კაბინეტი, თსუ ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი (თავისი ბიბლიოთეკებითა და ტექნიკით), თსუ ფოლკლორული არქივი, ჰუმანიტარულ ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი (სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ლიტერატურული არქივი და ფოლკლორული არქივი).

ბოლო წლებში თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მომზადდა შემდეგი საგრანტო პროექტები პროფ. ე. ხინთიბიძის ხელმძღვანელობით:
2006-2008: მცირე ერების დიდი კულტურა რუსთაველი ინგლისში (”ბაგები სიტი ჯგუფი»).
2005: ქართველოლოგიური ლიტერატურა უცხოელთათვის და საერთაშორისო ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლა (”საქართველოს განათლების სამინისტრო»).
2000: საქართველოს ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლა ევროპაში (”ღია საზოგადოება – საქართველო, თბილისი»).

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის სტატუსი: სავალდებულო, არჩევითი	კრედიტების საერთო რაოდენობა
სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო კურსები (45 კრედიტი)			
1	ქართული ლიტერატურა საზღვარგარეთულ ქართველოლოგიაში	სავალდებულო	5
2	ქართული ლიტერატურის ტიპოლოგია	სავალდებულო	5
3	შუასაუკუნეობრივი და რენესანსული «ვეფხისტყაოსანში»	სავალდებულო	5
4	XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის პრობლემატიკა და თემატიკა	სავალდებულო	5
5	თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესი	სავალდებულო	5
6	XX საუკუნის ლიტერატურულ-თეორიული მეთოდოლოგიური სკოლები	სავალდებულო	5
7	ქართული ლექსი	სავალდებულო	5
8	ხალხური ეპოსის ტიპოლოგია	სავალდებულო	5
მოდული – ძველი ქართული ლიტერატურა (20 კრედიტი)			
	რიტორიკული პროზა X-XI სს. ქართულ მწერლობაში	სავალდებულო	5
	ადამიანის პრობლემა ქართულ ჰაგიოგრაფიაში	სავალდებულო	5
	ქართული ლიტურგიკული მწერლობა	სავალდებულო	5
	ქართული ჰიმნოგრაფია	სავალდებულო	5
მოდული – ახალი ქართული ლიტერატურა (20 კრედიტი)			
	ქართული რომანტიზმისა და რეალიზმის პრობლემები	სავალდებულო	5
	აკაკისმცოდნეობა	სავალდებულო	5
	რელიგიურ-თეოლოგიური ნაკადი XIX ს.	სავალდებულო	5

	ქართულ მწერლობაში		
	XIX საუკუნის ქართული დრამატურგია	სავალდებულო	5
მოდული – უახლესი ქართული ლიტერატურა (20 კრედიტი)			
	XX საუკუნის ქართული პოეზია და ევროპული ლიტერატურული სკოლები	სავალდებულო	5
	მოდერნიზმი ქართულ ლიტერატურაში	სავალდებულო	5
	XX საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობა – კულტურათა გზაჯვარედინი	სავალდებულო	5
	ქართული რომანი მსოფლიო რომანისტიკის კონტექსტში	სავალდებულო	5
მოდული – ქართული ზეპირსიტყვიერება (20 კრედიტი)			
	ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია	სავალდებულო	5
	ზღაპრის მორფოლოგია (ზღაპარმცოდნეობა)	სავალდებულო	5
	ბიბლიური სიუჟეტები ქართულ ფოლკლორში	სავალდებულო	5
	თანამედროვე თეორიები მითოლოგიასა და ფოლკლორისტიკაში	სავალდებულო	5
არჩევითი საგნები (25 კრედიტი)			
	ქართული საერო და სასულიერო ლიტერატურის ურთიერთმიმართება	არჩევითი	5
	ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის ისტორია	არჩევითი	5
	ჰაგიოგრაფია და ძველი ქართული საისტორიო მწერლობა	არჩევითი	5
	რუსთაველი და ჰომეროსი	არჩევითი	5
	ვეფხისტყაოსნის კომპოზიცია	არჩევითი	5
	ქართული კულტურა და ლიტერატურული სახისმეტყველება	არჩევითი	5
	ილიასმცოდნეობა	არჩევითი	5
	ვაჟასმცოდნეობა	არჩევითი	5
	ქრისტიანული და მითოსური მოტივები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში	არჩევითი	5
	ქართული კრიტიკის ისტორია	არჩევითი	5
	XIX საუკუნის ქართველ მწერალთა შემოქმედებითი პროცესების თავისებურებანი	არჩევითი	5
	XIX საუკუნის 80-90-იანი წლების ქართული პროზის პრობლემები	არჩევითი	5
	მ. ჯავახიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა	არჩევითი	5
	კ. გამსახურდია და ქართული კლასიკური მწერლობა	არჩევითი	5
	თანამედროვე ქართული დრამატურგია	არჩევითი	5
	გ. ტაბიძის ლიტერატურული მემკვიდრეობა	არჩევითი	5
	მითის პოეტიკა	არჩევითი	5
	ანდრეზული კულტურა	არჩევითი	5

	ხალხური დრამა	არჩევითი	5
	ამირანოლოგია	არჩევითი	5
	სამაგისტრო ნაშრომი	სავალდებულო	
	სულ		**120**

საგამოცდო ბილეთის სტრუქტურა და შეფასება ქულებში

გამოცდა სპეციალობაში ჩატარდება კომბინირებული სახით (წერილობით და ზეპირად). გამოცდა შეფასდება 100 ბალიანი სისტემით. საგამოცდო ბილეთი შეიცავს 4 საკითხს (თითოეული მოდულიდან თითო საკითხი), რომლებსაც მაგისტრატურაში ჩაბარების მსურველმა უნდა უპასუხოს როგორც წერილობით, ასევე ზეპირი საუბრის რეჟიმში: თითოეული საკითხის პასუხი შეფასდება მაქსიმუმ 25 ქულით.

ყოველი საკითხი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით: 1. ინფორმაციის სისრულე – 5 ქულა; 2. არგუმენტირება – 5 ქულა; 3. ზეპირი კომუნიკაცია – 15 ქულა;

საგამოცდო საკითხები ქართულ ლიტერატურაში

ძველი ქართული ლიტერატურა

1. ქართული აგიოგრაფია (აღმოცენება, განვითარების გზა, რედაქციები, ჟანრები, მხატვრულ–ტექნიკური ტენდენციები). იოანე საბანისძის "აბოს წამება".
2. ქართული ჰიმნოგრაფიის რაობა. მისი დასაბამი, უძველესი ჰიმნოგრაფიული კრებულები. მე-10 საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფები.
3. კლასიკური პერიოდის (მე-11-12 სს) ქართული მწერლობა, სარაინდო თემატიკისა და იდეალების დამკვიდრება. "ამირანდარეჯანიანიდან" "ვეფხისტყაოსნამდე".
4. "ვეფხისტყაოსანი". ტექსტოლოგიური საკითხები და მსოფლმხედველობრივი სამყარო. რუსთველოლოგიური პრობლემატიკა - შუასაუკუნეობრივი და რენესანსული "ვეფხისტყაოსანში".
5. ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობის ძირითადი თეორიები და ჰიპოთეზები. ათონის ლიტერატურული სკოლა.
6. ე. წ. აღორძინების ხანის დიდაქტიკურ-მორალური ეპოსი. სულხან-საბა ორბელიანის "სიბრძნე სიცრუისა".
7. დავით გურამიშვილის ლირიკის ძირითადი მოტივები.

წყაროები და ლიტერატურა:

1. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგ. ს. ყუბანეიშვილის მიერ, 1, თბ. 1946.
2. ქართული პროზა, 1. თბ. 1946.
3. ქართული პოეზია. ძველი ქართული პოეზია მე-5-12 სს. 1. თბ. 1979.
4. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. თბ. 1988.
5. სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. 1. თბ. 1959.
6. დ. გურამიშვილი, დავითიანი. თბ. 1955.
7. კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, მე-5-8 სს. თბ. 1987.
8. კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1. თბ. 1980.
9. კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 2. თბ. 1980.
10. ქართული ლიტერატურის ისტორია, 6 ტომად. მე-2 ტ. თბ. 1966.
11. ა. ბარამიძე, შოთა რუსთველი. თბ. 1966.
12. ე. ხინთიბიძე, შუასაუკუნეობრივი და რენესანსული "ვეფხისტყაოსანში". თბ. 1993.
13. ე. ხინთიბიძე, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის. თბ. 1982.
14. რ. სირაძე, ქართული აგიოგრაფია. თბ. 1987.

ახალი ქართული ლიტერატურა

1. 1.ქართული რომანტიზმის ძირითადი თავისებურებები.
2. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკის მოტივები.
3. ილია ჭავჭავაძის პოემა "განდეგილის" პრობლემატიკა და მხატვრული მხარე.

4. ისტორიული თემა აკაკი წერეთლის ურთიერთობის პრობლემა ვაჟა–ფშაველას ეპიკურ პოეზიაში („თორნიკე ერისთავი“ და „ბაში–აჩუკი“)
5. საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობის პრობლემა ვაჟა–ფშაველას ეპიკურ პოეზიაში („ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ–მასპინძელი“).

ძირითადი ლიტერატურა

1. ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. 1. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით. თბ., 134–179; 233–249.
2. ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. 2. თ. კიკაჩეიშვილის რედ. თბ. 2003. გვ. 87–95; 176–182; 507–515.
3. გრ. კიკნაძე, ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები. თბ. 1978. გვ. 277–293.
4. ი. ევგენიძე, ქართული რომანტიზმის საკითხები. თბ. 1982. გვ. 37–80; 204–230.
5. ლ. მინაშვილი, ლიტერატურული ნარკვევები და წერილები. თბ. 2003. გვ. 156–160.

უახლესი ქართული ლიტერატურა

1. 20-იანი წლების ლიტერატურული სკოლები და დაჯგუფებანი, მოდერნიზმი ქართულ მწერლობაში.;
2. გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრება და შემოქმედება;
3. კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრება და შემოქმედება;
4. მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და შემოქმედება;
5. პიროვნების გაუცხოების პრობლემა XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში (ნიკო ლორთქიფანიძის, გრიგოლ რობაქიძის, ჭაბუა ამირეჯიბის, ოთარ ჭილაძის, გურამ დოჩანაშვილის და სხვა ქართველ მწერალთა შემოქმედების მიხედვით)

ძირითადი ლიტერატურა:

1. ა. ნიკოლეიშვილი - XX ს-ის ქართული მწერლობა, ქუთაისი 2002;
2. უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, თსუ, 1994 (ავტორთა კოლექტივი);
3. ს. სიგუა - მოდერნიზმი, თბ., 2007;
4. თ. პაიჭაძე - ლიტერატურული წერილები, თბ., 2003;
5. რ. ნიშნიანიძე - XX ს-ის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან თბ., 2000,
6. რ. ბურჯანაძე - იმპრესიონიზმი და ნიკო ლორთქიფანიძე, თბ., 2005;
7. მ. ძიგუა - ლიტერატურული წერილები, თბ.., 2005.
8. თანამედროვე ქართული პოეზია (გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, ლადო ასათიანი, ტერენტი გრანელი, პაოლი იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი და სხვა პოეტთა შემოქმედება);
9. თანამედროვე ქართული პროზა (კონსტანტინე გამსახურდიას, მეხეილ ჯავახიშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, გრიგოლ რობაქიძის და სხვა მწერალთა შემოქმედება)

ფოლკლორი

1. ფოლკლორის სპეციფიკა. არსებითი ნიშნები: ანონიმურობა, ვარიანტულობა, გავრცელების ზეპირი გზა, სინკრეტიზმი.

ლიტერატურა:

- მიხეილ ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ. 1956; გვ.5-10.
- ზურაბ კიკნაძე, ქართული ფოლკლორი, თბ. 2006, გვ. 7-15 (წიგნი ინახება თსუ ფოლკლორისტიკის დეპარტამენტში, VIII კორპუსი, II სართული, აუდ. 217).

2. ფოლკლორული ტექსტის შესრულების ტრადიციები: მთქმელი და ავტორ-მთქმელი.

ლიტერატურა:

- მიხეილ ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, თბ. 1946, გვ. 34-39 (იგივე საკითხები აგრეთვე იხ. წიგნებში: მიხეილ ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ. 1956, გვ. 27-30; ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, I, თბ. 1960, გვ. 40-44).
- ვახტანგ კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ. 1961, გვ. 311-318.

3. ფოლკლორის ძირითადი ჟანრების ზოგადი მიმოხილვა: პოეტური (სატრფიალო ლირიკა, ბალადა) და პროზაული (თქმულება, ზღაპარი, მითოსი).

ლიტერატურა:

- ვახტანგ კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ. 1961 [ტექსტები].
- მიხეილ ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ. 1956, გვ. 354-356; 357-406.
- თეიმურაზ ქურდოვანიძე, ქართული ზღაპარი, თბ. 2002, გვ. 6-20.
- ზურაბ კიკნაძე, ქართული ფოლკლორი, თბ. 2006, გვ. 20-23, 115-132, 132-134.
- ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, I, თბ. 1960, გვ. 345-362.

4. XVII-XVIII საუკუნეებში ჩაწერილი ფოლკლორული ტექსტები.

ლიტერატურა:

- ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, I, თბ. 1960, გვ. 96-100; 369-372.
- მიხეილ ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ. 1956, გვ. 96-99.

5. ამირანის ეპოსის ძირითადი ეპიზოდები.

ლიტერატურა:

- მიხეილ ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, თბ. 1947, გვ. 272-278; 313-327.
- ზურაბ კიკნაძე, ქართული ფოლკლორი, თბ. 2006, გვ. 50-59.

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს ელგუჯა ხინთიბიძეს.
საკონტაქტო ტელეფონი: 290301; 290833;